რეცენზია სტატიაზე

ოჯახის მხარდაჭერის პოლიტიკა -

ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები და საქართველო

ლელა რეხვიაშვილი

ცენტრალური ევროპის უნივერისტეტის (ბუდაპეშტი) დოქტორანტი

2016

ზოგადი შეფასება

საქართველოში ზოგადად კეთილდღეობის სახელმწიფოსა და სოციალური დაცულობის შესახებ უცხო თუ ქართულენოვანი ლიტერატურა მწირია. კეთილდღეობის სახელმწიფოს დარგობრივი კვლევები - კიდე უფრო მწირი. ხოლო კონკრეტულად ოჯახის მხარდაჭერის პოლიტიკის შესახებ დეტალური კვლევა, ჩემს ხელთ არსებული ინფორმაციით, აქამდე არც გაკეთებულა. შესაბამისად, აქ განხილული სტატია „ოჯახის მხარდაჭერის პოლიტიკა - ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები და საქართველო“ უკიდურესად საინტერესო დოკუმენტია ერთის მხრივ, მსგავსი კვლევების არარსებობის და მეორეს მხრივ, ოჯახის მხარდაჭერის პოლიტიკის სოციალური მნიშვნელოვნების გამო. ჩემი ზოგადი შეფასება სტატიაზე ძალიან დადებითია. სტატია კარგად იკითხება, გამართულია სტრუქტურის თვალსაზრისით, ეყრდნობა კომპლექსურ ემპირიულ მონაცემებს ევროკავშირის კონტექსტის განხილვისას, გვთავაზობს ახალ ემპირიულ მასალას საქართველოს რეგიონებში არსებული ოჯახის მხარდაჭერის არსებული პოლიტიკის შესახებ, გამოყოფს კვლევის მიგნებების იმპლიკაციებს. შესაბამისად, რეკომენდაციები ემყარება კომპლექსურ და დეტალურ ანალიზს, რაც ამ რეკომენდაციების ვალიდურობაში არწმუნებს მკითხველს. ეს რეკომენდაციები მნიშვნელოვანია არა მხოლოდ აკადემიური, არამედ პოლიტიკური თვალსაზრისითაც, რამდენადაც ქართულ პოლიტიკურ სივრცეში აღნიშნული საკითხი ჯერ ისევ არ არის პლობლემატიზირებული და პოლიტიკური ძალების/პარტიების დღის წესრიგის ნაწილი.

თეორია და ლიტერატურა

სტატია იყენებს მრავალფეროვან მასალას და ლიტერატურას. თუმცა არ გვთავაზობს ახალ თეორიულ არგუმენტებს კვლევის საფუძველზე. რამდენადაც აღნიშნული კვლევა უფრო policy paper ის ფორმისაა, ჩემი აზრით სტატიას არც მოეთხოვება თეორიული არგუმენტის გაკეთება. მაგრამ, სასურველი იქნებოდა ევროპის მაგალითების განხილვამდე სტატიაში მოცემული იყოს ლიტერატურის მიმოხილვა: 1. ძირითადი კონცეპტების განსასაზღვრად 2. მიზეზ-შედეგობრივი

პროცესების შესახებ არსებული აკადემიური ცოდნის შესაჯამებლად. მაგალითად, მაშინ როცა სტატიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ასპექტი ოჯახის მხარდაჭერის პოლიტიკის დემოგრაფიულ მდგომარეობასთან დაკავშირებაა, სტატია არ მიმოიხილავს ამ კავშირის შესახებ არსებულ კვლევებს.

ემპირიული მონაცემები და ანალიზი

სტატიის ემპირიული ნაწილი კომპლექსური და დამაჯერებელია. მისასალმებელია, რომ სტატია განიხილავს როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ ევროპის მაგალითებს. რაც მთავარია, ევროპის მაგალითები ამომწურავად არის დახასიათებული და ოჯახის მხარდაჭერის პოლიტიკის ერთი ან ორი კომპონენტის დახასიათების ნაცვლად ურთოერთშემავსებელი კომპონენტები და თითოეული კომპონენტის როლი და რელევანტობა არის განხილული. ასევე მისასალმებელია, რომ სტატიის ფარგლებში ახალი/აქამდე სისტემატიურად შეუსწავლელი მონაცემებია განხულული საქართველოს რეგიონებში არსებული დახმარებების და ამ დახმარებებს შორის უთანასწორობის/არათანმიმდევრულობის შესახებ.

ემპირიული კონტექსტის ამომწურავი განხილვის ფონზე, სტატიის ანალიტიკური ნაწილი და რეკომენდაციებიც დამაჯერებელია. რეკომენდაციები ასევე ითვალისწინებს სახელმწიფო პოლიტიკის სხვადასხვა ასპექტს (მაგალითად, გენდერული პოლიტიკის მნიშვნელოვნებას) რაც ჩემი შეფასებით, ასევე ზრდის რეკომენდაციების ვალიდურობას.

კითხვადობის თვალსაზრისით სტატია გამართულია. ჩემი აზრით სტატია არსად ღალატობს აკადემიური წერის პრინციპებს და ამასთანავე მრავალფეროვანი მითხველისთვის გასაგებ და ხელმისაწვდომ ენაზეა დაწერილი.

რეკომენდაციები მომავალი კვლევებისთვის

იმედი მაქვს სტატიის ავტორები გააგრძელებენ კვლევას ოჯახის მხარდაჭერის მიმართულებით. მომდევნო კვლევებისთვის ფარგლებში ჩემი აზრით სასურველი იქნება კვლევის რამდენიმე მიმართულების განვითარება/გაუმჯობესება რაც აღნიშნულ სტატიას აკლია:

ერთი, როგორც ზემოთაც ვახსენე სასურველია მეტი თეორიული ცოდნის მობილიზება განხილული კონცეპტების და მათი ურთიერთმიმართების შესახებ.

მეორეც, სასურველია უფრო კომპლექსური განხილვა ოჯახის მხარდაჭერის როლზე არა მხოლოდ დემოგრაფიული ვითარების გასაუმჯობესებლად, არამედ . ზოგადად კეთილდღეობის სახელმწიფოს სხვა კომპონენტებთან მიმართებაში, 2. ეკონომიკურ პოლიტიკასთან, მათ შორის საგადასახადო პოლიტიკასთან მიმართებაში.

და ბოლოს, სასურველია რომ რეკომენდაციების გაწევისას გათვალისწინებულ იქნას სახელმწიფოს ხელთ არსებული რესურსების საკითხი და არ არსებული ან ნაკლებად განვითარებული რესურსების განვითარების გზები. ფინანსური რესურსების არარსებობა, როგორც წესი პირველი არგუმენტია ხოლმე მსგავსი სოციალური პროგრამების განხორციელების წინააღმდეგ. ჩემი აზრით ავტორებს შეუძლიათ დაასაბუთონ რომ, მიუხედავად ეკონომიკური გამოწვევებისა, სახელმწიფოს 1. მოეპოვება რესურსები ოჯახის მხარდაჭერის პოლიტიკისთვის, და მნიშვნელოვანი ამ საკითხის პრიორიტეტულობის აღიარებაა. 2. მნიშვნელოვანია სახელმწიფომ იფიქროს როგორ გაზარდოს ფინანსური რესურსები ამ პოლიტიკისთვის. ეს შესაძლებელია გულისხმობდეს არა მხოლოდ ხარჯვითი არამედ, საგადასახადო პრიორიტეტების/პოლიტიკის შეცვლას. კომპლექსური ოჯახის მხარდაჭერის პოლიტიკის საწარმოებლად ასევე უმნიშვნელოვანესია ინსტიტუციური და ადამიანური რესურსები, რაც საქართველოში ამ მიმართულებით ასევე ძალიან მწირია. თუმცა, ფინანსური დახმარებების გაზრდის ფონზე ინსტიტუციური და ადამიანური (მაგ. სოციალური მუშაკების) რესუსრების მობილიზებაზე ფიქრიც აუცილებელია.